PLITONIT მშრალი პრაიმერი
გრუნტ-კონცენტრატი 1:15

- ✓ **10 ლიტრამდე გამოყენებისთვის მზა გრუნტი**
- ✓ **ზრდის ადჰეზიას მომდევნო საფარებთნ**
- ✓ **ზედაპირის წყალშთანთქმის შემცირება, თუნდაც 1 ფენად დატანისას**
- ✓ **ეკონომიურია გამოყენებისას**
- ✓ **გამჭვირვალეა გაშრობისას**

PLITONIT

Plitonit Deutsche Qualität

პროფესიონალად ყოფნა ადვილია

გრუნტ-კონცენტრატი შიდა და გარე სამუშაოებისთვის

ინსტრუქციის სხვა ენაზე ჩამოტვირთვა/
Download the manual in another language
kz | az | uz | tj | kg | tm | am | ge | mn

გამოყენების სფერო

PLITONIT მშრალი პრაიმერი განკუთვნილია თხევადი პრაიმერების დამზადებისთვის ცემენტის, ცემენტ-კირის ან თაბაშირის საფუძველზე კედლების, იატაკისა და ჭერის მოსამზადებლად, ცემენტის ან თაბაშირის, პოლიმერული შემკვრელის საფუძველზე ხსნარის ნარევების გამოყენებამდე თაბაშირ მუყაოს ფილების მოსამზადებლად, ასევე შეღებვამდე და შპალერის გაკვრამდე ზედაპირის მტვრისგან გაწმენდის, წყლის შთანთქმის შემცირების, ხსნარის ნარევიდან ტენის ნაადრევი უკუდენის აღმოფხვრის მიზნით შიდა და გარე სამუშაოების ჩატარებამდე.

შემდგომი შრეების სახეობები	კედლები
წებო ფილისა და კერამოგრანიტისთვის	+
თაბაშირის, ცემენტის ან პოლიმერულ საფუძველზე დამზადებული ბათქაში / ფითხი	+
ცემენტის, თაბაშირის ან კომპლექსურ საფუძველზე დამზადებული თვითსწორებადი იატაკები	+
ეპოქსიდურ საფუძველზე დამზადებული თვითსწორებადი იატაკები	—
საღებავი / შპალერი	+
ზედაპირის სახეობები	**კედლები**
ბეტონი, რკინაბეტონი, უჯრედოვანი ბლოკები, აგური, თაბაშირის, ცემენტის ან პოლიმერულ საფუძველზე დამზადებული ბათქაში / ფითხი, კილო-ქიმის შეერთების მქონე მუყაოს ფილები, ცემენტის, თაბაშირის ან კომპლექსურ საფუძველზე დამზადებული თვითსწორებადი იატაკები	+
თაბაშირ-მუყაოს ფილა, მარქანბოჭკოვანი ფილა, მინამაგნეზიტის ფილა	+
ცემენტ-ბურბუშელის ფილა, OSB, ფანერი	—
სუსტი და მტვრევადი ზედაპირები (ძველი მტვრევადი ბათქაში, ბეტონის ზედაპირები და ნახევრად მშრალი იატაკის მოჭიმვები 10 მპა-ზე ნაკლები კუმშვის სიმტკიცით)	—

ზედაპირის მომზადება

დაგრუნტვამდე გაწმინდეთ ზედაპირი მტვრისგან, ჭუჭყისა და ცხიმისგან. ძველი და არამყარი საფარის მონაკვეთები გულდასმით უნდა მოშორდეს.

სამუშაოების ჩატარების წესი

1	დაამზადეთ თხევადი პრაიმერი "მომზადების წესის" განაყოფის შესაბამისად
2	წაუსვით პრაიმერი ზედაპირს ფუნჯით ან ლილვაკით. ჰორიზონტალური ზედაპირების დაგრუნტვისას დაუშვებელია გუბეების წარმოქმნა.
3	პრაიმერის წასმიდან 120 წუთის (ან მეტის) შემდეგ შეამოწმეთ ზედაპირის შეწოვადობა, თუ ზედაპირის შეწოვის დონე საკმარისია (წყლის წვეთი არ შეიწოვება ჰორიზონტალურ ზედაპირზე 15 წუთზე მეტ ხანს, ან, ვერტიკალური ზედაპირის შემთხვევაში, მთლიანად ჩამოედინება და არ შეიწოვება) - შეგიძლიათ, გააგრძელოთ სამუშაოები (იხ. განაყოფი "როგორ შევამოწმოთ ზედაპირის შეწოვადობა").
!	თუ ზედაპირის შეწოვადობა 1 შრედ დაგრუნტვის შემდეგ მაღალი რჩება - დაგრუნტეგ მეორე შრედ.

მომზადების წესი

თხევადი პრაიმერის დასამზადებლად საჭიროა PLITONIT-ის მშრალი პრაიმერის წყალთან შერევა.
განზავების ხარისხი 1:10 (პრაიმერის ერთ ნაწილზე - წყლის 10 ნაწილი წონით) ძლიერად შეწოვადი ზედაპირებისთვის (აირ-, ქაფბეტონები, კერამზიტის ბლოკები, თაბაშირის ბათქაშები და კილო-ქიმის შეერთების მქონე მუყაოს ფილები და ა.შ.) ან 1:15 ცემენტის ზედაპირებისთვის, თაბაშირ-მუყაოს ფილებისთვის, ტენმედეგი თაბაშირ-მუყაოს ფილებისთვის, მინამაგნეზიტის ფილებისთვის.
პრაიმერების მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებულად, დრელის გამოყენებით საცმით არაუმეტეს 600 ბრ/წთ-ის სიჩქარეზე.
ურიეთ 20-30 წამის განმავლობაში, დააყოვნეთ 5 წუთის განმავლობაში და კვლავ მოურიეთ.
მომზადებული პარიმერის გამოყენების დრო, დაახლოებით, 240 წუთი.
პრაიმერის გამოყენებისას რეკომენდებულია მისი პერიოდულად მორევა, მინიმუმ 60 წუთში ერთხელ მექანიზებული მეთოდით.

როგორ შევამოწმოთ ზედაპირის შეწოვადობა

ჰორიზონტალურ ზედაპირზე	ვერტიკალურ ზედაპირზე
ზედაპირის დაგრუნტვიდან 120 წუთის (ან მეტი) შემდეგ დააწვეთეთ ზედაპირის სხვადასხვა ადგილას რამდენიმე წვეთი წყალი	პულვერიზატორით, ფუნჯით ან ღრუბლით უხვად წაუსვით წყალი ზედაპირს, იატაკიდან, დაახლოებით, 1,5 მ სიმაღლეზე
თუ ზედაპირმა შეიწოვა წვეთი 20 წუთზე ნაკლებ დროში, საჭიროა პრაიმერის მეორე შრის წასმა	თუ კედელზე ჩამოდინების დროს ზედაპირმა მთლიანად შეიწოვა წყალი, საჭიროა პრაიმერის მეორე შრის წასმა
თუ წვეთი რჩება ზედაპირზე 20 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში და არ შეიწოვება, შეიძლება შემდგომი სამუშაოების გაგრძელება.	თუ წყალი ჩამოედინა და არ შეიწოვა, შეიძლება შემდგომი სამუშაოების გაგრძელება

ტექნიკური მახასიათებლები

ფერი (მშრალ და განზავებულ მდგომარეობაში)	თეთრი
ფერი ზედაპირზე, წასმის შემდეგ	უფერული
გაშრობის დრო, წთ	60 – 120
ხარჯი m^2-ზე, მლ (განზავებული პრაიმერის)	100 - 200
წყლით განზავების ხარისხი	**პროპორცია**
ძლიერად შეწოვადი ზედაპირების დაგრუნტვისთვის (აირ-, ქაფბეტონები, კერამზიტის ბლოკები, თაბაშირის ბათქაშები და კილო-ქიმის შეერთების მქონე მუყაოს ფილები და ა.შ.)	1:10
ცემენტის, თაბაშირ-მუყაოს ფილების, ტენმედეგი თაბაშირ-მუყაოს ფილების, მინამაგნეზიტის ფილებისა და სხვა	1:15

სამუშაოების ჩატარების პირობები

სამუშაოების ჩატარების დროს ჰაერის, ზედაპირისა და გამოყენებისთვის გამზადებული პრაიმერის ტემპერატურა უნდა იყოს არანაკლებ +5°C-ისა. გარე სამუშაოებისას საჭიროა გაშრობამდე დამუშავებული ზედაპირი ატმოსფერული ნალექებისგან დაცვა.

ყურადღება

სამუშაოების ჩატარების პროცესში რეკომენდებულია პრაიმერის პერიოდულად მორევა (არანაკლებ 60 წუთში ერთხელ). გამოყენების შემდეგ მორეცხეთ ხელსაწყო და სათავსოები წყლით. მითითებული მახასიათებლები მოქმედებს გარემოს 20±2°C ტემპერატურისა და ჰაერის 60±10% ფარდობითი ტენიანობის პირობებში. სამუშაოების ჩატარებისას უნდა იხელმძღვანელოთ ზოგადი სამშენებლო სამუშაოების ჩატარების ინსტრუქციებითა და უსაფრთხოების ტექნიკით მშენებლობაში. სუსტი და მტვრევადი ზედაპირების დასაგრუნტად (ძველი მტვრევადი ბათქაშები, ბეტონის ზედაპირები და ნახევრად მშრალი იატაკის მოჭიმვები 10 მპა-ზე ნაკლები კუმშვის სიმტკიცით) რეკომენდებულია PLITONIT-ის გრუნტის განმამტკიცებელი PROFI-ს გამოყენება.

უსაფრთხოების ზომები

სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ ხელთათმანები, დამცავი სათვალეები, სასუნთქი ორგანოების დამცავი საშუალებები.
მოერიდეთ ნარევის კანზე და თვალებში მოხვედრას. თვალში მოხვედრის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ამოიბანეთ წყლის დიდი რაოდენობით და მიმართეთ ექიმს.
მოარიდეთ ბავშვებს!

შემადგენლობა

დისპერსიული პოლიმერული ფხვნილი, ფუნქციური რეოლოგიური დანამატები, მინერალური შემავსებლები, პიგმენტები

ტრანსპორტირება და შენახვა

პრაიმერის ტრანსპორტირება ხდება ნებისმიერი სახის ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვის წესების შესაბამისად, რომლებიც მოქმედებს შესაბამისი სახის ტრანსპორტზე.

ტრანსპორტირების გამოყენებული მეთოდები უნდა გამორიცხავდეს ატმოსფერული ნალექების შეღწევის შესაძლებლობას და უზრუნველყოფდეს შეფუთვის დაცვას მექანიკური დაზიანებისა და მთლიანობის დარღვევისგან.
შეინახეთ მწარმოებლის შეფუთვაში, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის დაცვას დატენიანებისა და გარეგნობის დაკარგვისგან, სხვადასხვა ტიპის სასაწყობო შენობებში, გამათბობელი მოწყობილობებიდან არანაკლებ 1 მეტრის დაშორებით. მწარმოებლის ტარაში შენახვის ვადა - 12 თვე.

მწარმოებლის გარანტია

მწარმოებელი იძლევა გარანტიას, რომ პროდუქცია შეესაბამება ტექნიკური პირობების 2241-001-51552155-2013-ის მოთხოვნებს, თუ მომხმარებელი დაიცავს ტრანსპორტირების, შენახვის პირობებს და ამ ინსტრუქციის მითითებებს. მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი მასალასთან მუშაობის ტექნოლოგიის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ასევე მისი გამოყენებისთვის იმ მიზნებსა და პირობებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მიცემული ინსტრუქციით

მომხმარებელთა მხარდაჭერის სამსახური

8 (800) 555 - 71 - 67

www.plitonit.ru

e-mail: info@mc-bauchemie.ru